მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

კომპანია როგორც მეიჯარე : კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის მიღების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. როგორც მეიჯარე, კომპანია აკლასიფიცირებს იჯარას როგორც საოპერაციოს ან ფინანსურს. იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მას გადააქვს ძირითადი რისკები და ანაზღაურება ძირითადი აქტივების საკუთრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელიშევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამისი განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამგვარად, მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებას, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი: კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 12-ში.

იჯარის გაგრძელების უფლება: როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა: კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დამველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება: საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ. შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება: სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარიაციის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დამველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოლენები: როგორც მითითებულია შენიშვნა 27-ში, გავრცელებული ახალი კორონავირუსი (Covid-19) გავლენას ახდენს გლობალურ და ადგილობრივ აზრებზე. ზემოქმედების ზომა, მასშტაბები და ხანგრძლივობა არ არის ზუსტად გარკვეული და დამოკიდებულია სხვადასხვა გარე ფაქტორებზე.

5. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	32,537,530	9,839,127
შემოსავალი დახურული ა/სადგომის რეალიზაციიდან	-	18,918
სულ შემოსავალი	32,537,530	9,858,045

6. რეალიზაციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგენს 12,334,443 და 4,179,361 ლარს და მოიცავს ქვეკონტრაქტორების მიერ გაწეულ მომსახურებასა და რეალიზებული ფართების თვითღირებულებას.

7. მიწოდების ხარჯები

კომპანიის მიწოდების ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
გაყიდვების მომსახურება	722,288	408,983
რეკლამის ხარჯები	19,283	27,400
სულ მიწოდების ხარჯი	741,571	436,383

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	375,177	398,075
ცვეთის ხარჯი	62,521	18,474
წარმომადგენლობითი ხარჯები	17,923	3,700
სხვა საგადასახადო ხარჯი	17,110	7,963
ჯარიმის ხარჯი	15,000	4,805
ბანკის მომსახურება	7,098	3,426
საკონსულტაციო ხარჯები	1,847	15,000
კომუნალური გადასახადი	338	2,059
სხვა საერთო ხარჯი	12,713	54,340
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	509,727	507,842

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

9. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა (ზარალი)/მოგება

კომპანიის უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა (ზარალი)/მოგება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	99,615	141,233
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	93,220	84,480
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,482	56,753
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,913	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	245,108	43,064
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	188,456	39,496
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	55,678	3,163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	974	405
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	145,493	(98,169)

10. წმინდა ფინანსური ხარჯი

კომპანიის წმინდა ფინანსური ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ფინანსური შემოსავალი	107,077	52,452
დაკავშირებული მხარე 1	107,077	52,452
ფინანსური ხარჯი	-	24,329
დაკავშირებული მხარე 2	-	24,329
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი	107,077	28,123

11. სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
შემოსავალი იჯარიდან	178,602	57,063
სხვა შემოსავალი	-	152,106
178,602	209,169	

12. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ნული და ნული ლარის შესაბამისია, ვინაიდან საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იზეგრება მოგების გადასახადით ესტონური მოდელის მიხედვით. 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომელიც ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. მოგების გადასახადით დაიზეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

12. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით იმ ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. აღნიშნული სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

13. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენობა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	21,621	-	-	-	21,621
შეძენა	-	-	1,756	-	1,756
2018 წლის 31 დეკემბერი	21,621	-	1,756	-	23,377
შეძენა	391,507	193,540	99,974	2,500	687,521
2019 წლის 31 დეკემბერი	413,128	193,540	101,730	2,500	710,898
დაგროვებული ცვეთა					
2018 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-
ცვეთის დარიცხვა	(1,081)	-	(171)	-	(1,252)
2018 წლის 31 დეკემბერი	(1,081)	-	(171)	-	(1,252)
ცვეთის დარიცხვა	(16,742)	(3,352)	(1,473)	(167)	(21,734)
2019 წლის 31 დეკემბერი	(17,823)	(3,352)	(1,644)	(167)	(22,986)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	21,621	-	-	-	21,621
2018 წლის 31 დეკემბერი	20,540	-	1,585	-	22,125
2019 წლის 31 დეკემბერი	395,305	190,188	100,086	2,333	687,912

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

14. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კომერციული ფართი	საოფისე ფართები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2018 წლის 1 იანვარი	-	53,295	53,295
შეძენა	-	384,707	384,707
გასვლა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	438,002	438,002
შეძენა	725,551	-	725,551
გასვლა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	725,551	438,002	1,163,553
დაგროვილი ცვეთა			
2018 წლის 1 იანვარი	-	-	-
ცვეთის დარიცხვა	-	(17,222)	(17,222)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(17,222)	(17,222)
ცვეთის დარიცხვა	(19,803)	(20,984)	(40,787)
2019 წლის 31 დეკემბერი	(19,803)	(38,206)	(58,009)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2018 წლის 1 იანვარი	-	53,295	53,295
2018 წლის 31 დეკემბერი	-	420,780	420,780
2019 წლის 31 დეკემბერი	705,748	399,796	1,105,544

კომპანია ფლობს კომერციულ ფართს რომელსაც იყენებს საიჯარო შემოსავლის მისაღებად კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთის ოდენობით. კომპანიას არ დაუქირავებია ექსპერტები საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად. რეალური ღირებულების შეფასება განხორციელდა ხელმძღვანელობის სახელით კომპანიის შიდა თანამშრომლების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება. რეალური ღირებულების დადგენისას გამოყენებული იქნა შემოსავლების მიდგომა, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით.

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

15. გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის შეადგენს:

სესხის გამცემი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დეკემბერი 31 2019		დეკემბერი 31 2018		დეკემბერი 31 2017	
					მოკლ. ვალდ.	გრძ. ვალდ.	მოკლ. ვალდ.	გრძ. ვალდ.	მოკლ. ვალდ.	გრძ. ვალდ.
დაკავშირებული მხარე	NBG %	ლარი	29 თებ. 2016	29 დეკ. 2019	167,238	-	-	166,238	-	151,978
სულ მიღებული სესხები					167,238	-	-	166,238	-	151,978

16. მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

კომპანიის მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის შეადგენს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიან მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	5,732,699	2,979,324	2,226,586
მარაგებად კლასიფიცირებული საცხოვრებელი ფართები	1,454,592	526,297	25,964
მშენებარე საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული მარაგები	1,025,879	709,695	428,399
მიმდინარე მარაგებად კლასიფიცირებული ავტოსადგომები	83,261	54,641	63,916
მიმდინარე მარაგებად კლასიფიცირებული სათავსოები	74,173	74,066	19,943
მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები	54,571	1,283,322	180,136
სხვა	13,429	2,339	958
სულ მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	8,438,604	5,629,684	2,945,902

17. წმინდა საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს გადასახდელ დღგ-ის, ქონების, საშემოსავლო გადასახადს და შეადგენს 24,791 და 366,035 ლარს. საგადასახადო აქტივები ძირითადად შედგება მიღებულ ავანსზე დარიცხულ დღგ-ს თანხებისგან და 2018 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 55,784 ლარს.

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გადახდილი ავანსები	489,096	1,633,104	593,220
სავაჭრო მოთხოვნები	60,174	177,396	1,333
სხვა მოთხოვნები	6,459	62	912
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	555,729	1,810,562	595,465

19. შეზღუდული ფული

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ ბლოკირებულ ფულად სახსრებს, რომელიც კომპანიის კლიენტების იპოთეკური სესხის გარანტიაა, კომპანიის მიერ მომხმარებლებისთვის გადასაცემი ბინის მშენებლობის დასრულებამდე. კომპანიის შეზღუდული ფული 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 530,876, 1,712,799 და 278,262 ლარს.

20. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ეროვნული ვალუტა ბანკში	8,423,769	2,985,672	2,207,742
უცხოური ვალუტა ბანკში	152,257	1,495,156	905,795
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	8,576,026	4,480,828	3,113,537

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლი 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიღებული ავანსები	2,811,669	6,545,968	74,691
სავაჭრო ვალდებულებები	31,546	442,241	818,393
სხვა ვალდებულებები	1,777	101,625	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,844,992	7,089,834	893,084

22. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს. აღნიშნული თარიღებისთვის კომპანიის მფლობელები არიან შპს „საბა პლიუსი“ (50%) და შპს „G & G Invest“ (50%).

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გასცემს დივიდენდს წლიური მოგებიდან. 2019 და 2018 წლებში კომპანიამ გასცა 8,686,976 და 4,070,191 ლარი ფულადი სახით.

23. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელსაც მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

პანდემია და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა

როგორც ეს მითითებულია მე-27 განმარტებით შენიშვნაში, ახალი კორონავირუსის COVID-19 ის გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე. გავლენის არეალი, შედეგები და ხანგრძლივობა არ არის დაზუსტებით ცნობილი და დამოკიდებულია სხვადასხვა გარემო ფაქტორებზე.

24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გაცემული სესხები	15	167,238	166,238	151,978
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	66,633	177,458	2,245
ფული და ფულის ეკვივალენტები	20	530,876	1,712,799	278,262
შეზღუდული ფული	19	530,876	1,712,799	278,262
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	33,323	543,866	818,393
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		1,262,300	3,225,428	(107,646)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის

მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

31 დეკემბერი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	555,729	-	-	555,729
შეზღუდული ფული	530,876	-	-	530,876
გაცემული სესხები	167,238	-	-	167,238
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,576,026	-	-	8,576,026
სულ ფინანსური აქტივები	9,829,869	-	-	9,829,869
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,844,992	-	-	2,844,992
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,844,992	-	-	2,844,992
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	6,984,877	-	-	6,984,877

31 დეკემბერი 2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,810,562	-	-	1,810,562
შეზღუდული ფული	1,712,799	-	-	1,712,799
გაცემული სესხები	-	166,238	-	166,238
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,480,828	-	-	4,480,828
სულ ფინანსური აქტივები	8,004,189	166,238	-	8,170,427
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,089,834	-	-	7,089,834
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,089,834	-	-	7,089,834
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	914,355	166,238	-	1,080,593

1 იანვარი 2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	595,465	-	-	595,465
შეზღუდული ფული	278,262	-	-	278,262
გაცემული სესხები	151,978	-	-	151,978
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,113,537	-	-	3,113,537
სულ ფინანსური აქტივები	4,139,242	-	-	4,139,242
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	535,342	-	535,342
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	893,084	-	-	893,084
სულ ფინანსური ვალდებულებები	893,084	535,342	-	1,428,426
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	3,246,158	(535,342)	-	2,710,816

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

25. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018		1 იანვარი 2018	
	საბ. ღირებ.	რეალ. ღირ.	საბ. ღირებ.	რეალ. ღირ.	საბ. ღირებ.	რეალ. ღირ.
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,576,026	8,576,026	4,480,828	4,480,828	3,113,537	3,113,537
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,844,992	2,844,992	7,089,834	7,089,834	893,084	893,084
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	555,729	555,729	1,810,562	1,810,562	595,465	595,465
შეზღუდული ფული	530,876	530,876	1,712,799	1,712,799	278,262	278,262
გაცემული სესხები	167,238	167,238	166,238	166,238	151,978	151,978
მიღებული სესხები	-	-	-	-	535,342	535,342

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ოპერაციები:

	2019			2018					
	შემოსავალი	მიწოდების ხარჯი	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	შემოსავალი	სხვა შემოსავალი	მიწოდების ხარჯი	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	ფინანსური ხარჯი	ფინანსური შემოსავალი
მფლობელი	34,663	722,288	-	26,838	144,068	408,983	4,805	-	-
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	-	-	183,000	-	-	-	337,250	-	-
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	-	-	231	60,905	-	-	77	-	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	-	-	-	-	-	24,329	14,260
შესაბ. მუხლის მთლიანი თანხა ფმა-ში	32,537,530	741,571	509,727	9,858,045	209,169	436,383	507,842	24,329	52,452

შპს „ჯეი 3“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ნაშთები:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018		1 იანვარი 2018	
		ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა-ში	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა-ში	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა-ში
გაცემული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	167,238	167,238	166,238	-	151,978	-
მიღებული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	-	-	535,342	535,342
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მფლობელი	3,441	555,729	173,499	1,810,562	287	595,465
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მფლობელი	29,211	2,844,992	439,235	7,089,834	805,015	893,084

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 31 დეკემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, კომპანია ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. აღნიშნული მოვლენის შედეგად, სამშენებლო მასალების ფასი გაიზარდა, რაც ზრდის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულებას. ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოთ აღნიშნულ ნეგატიურ ფაქტორებს მნიშვნელოვნად არ უმოქმედია კომპანიის საქმიანობაზე და მიიჩნევს, რომ მომავალშიც არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ვინაიდან მას მას აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის, რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გასცა დივიდენდები ჯამური ღირებულებით 6,024,700 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.